



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030660882834720

13 / ოქტომბერი / 2020 წ.

თბილისი #06-198/თ

**COVID-19 შემთხვევების შესაძლო ან დადასტურებული კონტაქტების მიდევნების  
დროებითი სახელმძღვანელო დამტკიცების შესახებ**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს, თანდართული COVID-19 შემთხვევების შესაძლო ან დადასტურებული კონტაქტების მიდევნების დროებითი სახელმძღვანელო (შემდგომში-სახელმძღვანელო).
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სახელმძღვანელო გამოყენებულ უნდა იქნეს სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) და მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების ეპიდემიოლოგების მიერ.
3. დაევალოს, ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვისა და გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტებს (ვლ. გეთია; ბ. ზახაშვილი) უზრუნველყონ ამ ბრძანებით დამტკიცებული სახელმძღვანელო დოკუმენტის დაყვანა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებამდე, მათ შორის მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებამდე.
4. დაევალოს, ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე